საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №020

2025 წლის 11 თებერვალი

ქ. თბილისი

„საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 30 დეკემბრის №017 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საბჭოს 2025 წლის 7 თებერვლის №61 სხდომის ოქმის გათვალისწინებით, **ვბრძანებ:**

მუხლი 1.

„საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 30 დეკემბრის №017 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 30/12/2024, სარეგისტრაციო კოდი: 280060000.73.085.016030) დამტკიცებულ საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება, კერძოდ, დანართი №1-ის (აქტივების განთავსების სტრატეგიის ჩარჩო) ცხრილი №1-ის (ბენჩმარკ პორტფელები) „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დაბალანსებული (საშუალორისკიანი) საინვესტიციო პორტფელის ბენჩმარკ პორტფელი:

აქტივის კლასი	განთავსების მიზნობრივი მაჩვენებლები	მიზნობრივი მაჩვენებლებიდან გადახრის დასაშვები ნორმები აქტივის კლასის მიხედვით
საქართველოს სახაზინო ფასიანი ქაღალდები	5%	+/- 5 პროცენტული პუნქტი
დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები ლარში	60%	+/- 10 პროცენტული პუნქტი
უცხოური აქციები	35%	+5/- 10 პროცენტული პუნქტი

გ) დინამიკური (მაღალრისკიანი) საინვესტიციო პორტფელის ბენჩმარკ პორტფელი:

აქტივის კლასი	განთავსების მიზნობრივი მაჩვენებლები	მიზნობრივი მაჩვენებლებიდან გადახრის დასაშვები ნორმები აქტივის კლასის მიხედვით

საქართველოს სახაზინო ფასიანი ქაღალდები	5%	+/- 5 პროცენტული პუნქტი
დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები ლარში	40%	+/- 10 პროცენტული პუნქტი
უცხოური აქციები	55%	+5/-15 პროცენტული პუნქტი

კონსერვატიული (ნაკლებრისკიანი), დაბალანსებული (საშუალორისკიანი) და დინამიკური (მაღალრისკიანი) საინვესტიციო პორტფელების ბენჩმარკ პორტფელების შემოსავლიანობისა და რისკების შეფასების მიზნით გამოიყენება შემდეგი ინდექსები:

აქტივის კლასი	**ინდექსი**
საქართველოს სახაზინო ფასიანი ქაღალდები	მიმოქცევაში არსებული ყველა სახაზინო ფასიანი ქაღალდი
დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტ იფიკატები ლარში	დისკონტური (უკუპონო) დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები, 5 წლამდე ვადიანობით
უცხოური აქციები	შეწონილი ინდექსი: • 20% – Vanguard FTSE Pacific ETF (კოდი VPL) • 20% – Vanguard FTSE Europe ETF (კოდი VGK) • 40% – SPDR S&P500 ETF (კოდი SPY) • 20% – Vanguard Emerging Markets Stock Index (კოდი VWO)

ამ პოლიტიკის მიზნებისთვის, საინვესტიციო ჰორიზონტად განისაზღვრა კონსერვატიული (ნაკლებრისკიანი) საინვესტიციო პორტფელისათვის – 5 წელი, დაბალანსებული (საშუალორისკიანი) საინვესტიციო პორტფელისათვის – 10 წელი და დინამიკური (მაღალრისკიანი) საინვესტიციო პორტფელისათვის – 15 წელი. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, საინვესტიციო ჰორიზონტი არ მოიაზრება, როგორც საინვესტიციო პორტფელში შემავალი ინდივიდუალური ინვესტიციების მაქსიმალური ხანგრძლივობის ან დაფარვის ვადის ლიმიტი.“.

მუხლი 2.
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ საპენსიო სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი **გიორგი ჭიჭინაძე**